

ნესიბე ჰარანი თურქეთის წინააღმდეგ

(CASE OF NESİBE HARAN v. TURKEY)

(განცხადება #. [28299/95](#))

განჩინება

სტრასბურგი

2005 წლის 6 ოქტომბერი

საბოლოო

06/01/2006

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას. წინამდებარე განჩინება შესაძლოა, დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

ნებისე ჰარანი თურქეთის წინააღმდეგ საქმის განსახილველად,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (მესამე სექცია), შეიკრიბა პალატის სახით, შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ზუპანჩიჩი, თავჯდომარე,
ბატონი ჯ. ჰედიგანი,
ბატონი კ. ბირსანი,
ქალბატონი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,
ქალბატონი რ. იეგერი,
ბატონი ე. მიეერი, მოსამართლეები,
ბატონი ფ. გიოლკუკლუ ad hoc მოსამართლე,
და ბატონი ვ. ბერგერი, რეგისტრატორი

იმჯგელა რა განმარტოებით 2005 წლის 15 სექტემბერს, სასამართლოს გამოაქვს წინამდებარე განჩინება, რომელიც მიღებულ იქნა იმავე დღეს

პროცედურა:

1. საქმეს საფუძვად დაედო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) ძველი რედაქციის მიხედვით 25-ე მუხლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში („კომისია“), ქალბატონი ნებისე ჰარანის („მოსარჩელე“) მიერ, თურქეთის წინააღმდეგ, შეტანილი განაცხადი (#. [28299/95](#)).
2. აპლიკანტს წარმოადგენდნენ ქალბატონი ა. სთოქი, ადვოკატი რომელიც დაკავშირებულია ქურთთა ადამიანის უფლებათა პროექტთან ლონდონში, ბატონი მ.მიულერის, ბატონი თ.ოტის და ქალბატონი ჯ.გორდონის მიერ რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ ლონდონში და ქალბატონი რ.იალსინდაგის და ბატონი ც.ადინის მიერ, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ დიარბაქირში. თურქეთის მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“) არ დანიშნა წარმომადგენელი კონვენციის თანახმად დაფუძნებული ორგანოებში საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.
3. განმცხადებელის თანახმად, მისი ქმრის გაუჩინარებაში სახელმწიფო მოხელეები იყვნენ პასუხისმგებლები. მან მიუთითა კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლების დარღვევაზე.
4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს 1998 წლის პირველ ნოემბერს, როდესაც მე-11 ოქმი შევიდა ძალაში (მე-11 ოქმის მე-5§2 მუხლი).
5. განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52§ 1-ე მუხლი). პალატის შემადგენლობა, რომელსაც უნდა განეხილა ეს საქმე (კონვენციის 27 მუხლი § 1) დაინიშნა 26-ე მუხლის I პარაგრაფის შესაბამისად.
6. მოსამართლე რიზა თურმენი, რომელიც არჩეული იყო თურქეთიდან, აცილებულ იქნა ამ საქმესთან მიმართებით (28-ე მუხლი). მთავრობამ, მის ნაცვლად დანიშნა ბატონი ფეიაზ გიოლკუკლუ, როგორც ad hoc მოსამართლე (კონვენციის 27§ 2-ე მუხლი და რეგლამენტის 29§ 1-ე მუხლი).
7. 1999 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა.
8. 2004 წლის პირველ ნოემბერს სასამართლომ შეცვალა მისი სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის მუხლი 25§ 1).
9. განმცხადებელმაც და მთავრობამაც წარმოადგინეს შენიშვნები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით (59§ 1-ე მუხლი).

ფაქტები:

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

10. განმცხადებელი დაბადა 1971 წელს და ცხოვრობს დიარბაქირში .

ა) შესავალი:

11. იქსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებული ფაქტები სადავოა მხარეებს შორის. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები წარმოდგენილია ქვემოთ ბ (პარაგრაფები 13-22) თავში, ხოლო მთავრობის მიერ მოწოდებული ფაქტები, კი გ (პარაგრაფები 23-26) თავში.

12. მხარეების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტების ერთიანი ანალიზი, წარმოდგენილია, ცალკე, დ (პარაგრაფები 27-29) და ე (პარაგრაფები 30-53) თავში. მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეჯამებისას, სასამართლო პირთა სახელებს იყენებს, ისე, როგორც ეს თავად ამ დოკუმენტებშია მითითებული. აუცილებელი არ არის, სწორად იყოს ასახული ამ ადამიანთა სახელების მართლწერა.

ბ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები:

13. განმცხადებლის ერთ-ერთი ძმა და ბიძაშვილი (მამისმხრიდან) შეუერთდნენ PKK-ს (ქურთების მუშათა პარტია), თარიღი არ არის ცნობილი. ამ დროისათვის, განმცხადებელი და იქსან ჰარანი მივიდნენ ლიჯეს პროკურატურაში და პროკურორს მოახსენეს, რომ ისინი საერთოდ არ იყვნენ პასუხისმგებელი იმ ქმედებებზე რაც მისმა ძმამ და ბიძაშვილმა ჩაიდინეს და რომ მათ არ იცოდნენ მათი ამ პარტიაში გაწევრების შესახებ. პროკურორმა განუცხადა მათ, რომ არ აპირებდა ამ ამბის გამო აპლიკანტის ან იქსან ჰარანის წინააღმდეგ საქმის წამოწყებას. , ნებისმიერ შემთხვევაში იქსან ჰარანი ტყეში იმალებოდა, როცა ჯარისკაცები მივიდნენ სოფელ არიკლიში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ..

14. 1994 წლის 12 მაისს განმცხადებელი და მისი მეუღლე, შვილებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდნენ დიარბაქირში, მას შემდეგ, რაც მათი სოფელი გაანადგურეს უშიშროების ძალებმა. ისინი თვლიდნენ, რომ არ იქნეოდა მართებული, თავიანთი მისამართის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის შეტყობინება.

15. 1994 წლის 24 დეკემბერს, განმცხადებლის მეუღლე, იქსან ჰარანი, არ დაბრუნდა სახლში დიარბაქირის მიწისქვეშა ბაზრის მშენებლობიდან, სადაც იგი ბოლო რვა დღის განმავლობაში მუშაობდა. განმცხადებელსა და ოჯახის სხვა წევრებს არ მოეჩვენათ ეს უჩვეულოდ, რადგან დამატებითი სამუშაოს შემთხვევაში, ის რჩებოდა სამუშაოზე და არ ბრუნდებოდა სახლში.

16. 1994 წლის 27 დეკემბერს, თანასოფლელი ბატონი ფაჰრი ჰაზარი, მივიდა განმცხადებლის სახლში და უთხრა, რომ 24 დეკემბერს, ფორმიანი პოლიციელების მიერ მშენებლობის ტერიტორიაზე განხორციელდა საიდენტიფიკაციო შემოწმება, სადაც განმცხადებლის მეუღლე მუშაობდა, და როდესაც ისინი ამოწმებდნენ იქსან ჰარანის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, კამათი დაიწყო ერთმანეთში. ეს კამათი გაგრძელდა დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში და შემდეგ პოლიციის ოფიცრებმა იქსან ჰარანი წაიყვანეს.
17. 1994 წლის 30 დეკემბერს ბატონი ფაჰრი ჰაზარი დააპატიმრეს და წაიყვანეს პოლიციის იზოლატორში.
18. მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა გაიგო, რომ მისი მეუღლე დაკავებული იყო, პოლიციის მიერ, მან სცადა სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოში განთავსებული პროკურატურისთვის (public prosecutor's office at the State Security Court) მიემართა თხოვნით, რათა გაეგო მისი მეუღლის ადგილსამყოფელი. თუმცა, ამაში ხელს უშლიდნენ სასამართლოს წინ მდგარი პოლიციის ოფიცრები და ის და მისი ოჯახის წევრები დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ცდილობდნენ ენახათ პროკურორი, თუმცა უშედეგოდ.
19. შემდეგ განმცხადებელმა დაიწყო ციხეების მონახულება, რათა გაეგო, ვინმეს ხომ არ ჰყავდა ნანახი მისის მეუღლე. ის შეხვდა ერთ პიროვნებას, რომლის სახელის ანონიმურად დატოვება განმცხადებელმა მოითხოვა და რომელიც მოთავსებული იყო დიარბაქირში განთავსებულ 31-ე საერთო საცხოვრებელში, რომელიც E-ტიპის ციხეს წარმოადგენდა და ამ პიროვნებამ უთხრა განმცხადებელს, რომ მან საპატიმროში ნახა იქსან ჰარანი.
20. 1995 წლის პირველ თებერვალს, იქსან ჰარანის ძმები დააპატიმრეს. 2004 წლის 7 სექტემბრის განცხადებაში, რომელიც თავიანთ ადვოკატს გადასცეს ისინი წერდნენ, რომ პოლიციაში პატიმრობისას მათ ემუქრებოდნენ, რომ მათი ძმის მსგავსად მათაც მოკლავდნენ (იხილეთ პარაგრაფი 27).
21. 1997 წელს პოლიციის ოფიცრების მიერ განხორციელდა განმცხადებლის რძალის დევნა, ზეწოლა.
22. 1998 წლის 15 დეკემბერს, განმცხადებელს მიუახლოვდა პიროვნება, რომელიც ირწმუნებოდა, რომ იყო პოლიციელი. მან განმცხადებელს შესთავაზა იქვე მდგარ მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. განმცხადებელი არ დათანხმდა. მან იცოდა მათი ოჯახის შესახებ და განმცხადებელს ფინანსური დახმარება შესთავაზა ინფორმაციის სანაცვლოდ. 1998 წლის 21 დეკემბერს განმცხადებელმა, უთხრა თავის ადვოკატს, რომ მას არ აძლევდნენ ახალ პირადობის დამადასტურებელ მოწობას და რომ იძულებული იყო ხშირად შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი, რადგან მასზე ზეწოლას ახორცილებდნენ უშიშროების ძალები, რაც მოიცავდა მის სახლში რეიდების ჩატრებას.

გ)მთავრობის მიერ წარმოდგენილი ფაქტები:

23. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1996 წლის 26 თებერვალს განაცხადის შესახებ შეტყობინების შემდგომ, დიარბაქირის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფაქტებთან დაკავშირებით.

24. 1998 წლის 21 იანვარს, დიარბაქირის პროკურორმა, დაადგინა, რომ გამოძიების გაგრძელება საჭირო აღარ იყო, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ იქსან ჰარანი პოლიციაში პატიმრობის პერიოდში გაუჩინარდა (პარაგრაფი 36). მან აღნიშნა, რომ 1994 წლის შემდეგ არც დიარბაქირის პროკურატურაში, არც სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოში არსებულ პროკურატურაში და არც ლიჯეს პროკურატურაში არ მოიპოვება რაიმე ჩანაწერი საჩივრის შეტანის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ვერანაირი ჩანაწერი ვერ იქნა მოპოვებული, რომელიც დაადასტურებდა იქსან ჰარანის პატიმრობაში ყოფნის ფაქტს, დიარბაქირის უსაფრთხოების სამმართველოს, ანტი-ტერორისტული დანაყოფის და ადგილობრივი ჟანდარმერიის მეთაურის ბრძანების შესაბამისად. მან შემდგომში მიუთითა, რომ იქსან ჰარანი იძებნებოდა დიარბაქირის ანტი-ტერორისტული განყოფილების მიერ. განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია აღნიშნული გადაწყვეტილება.

25. გამოძიება იქსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, კვლავ უშედეგოდ გრძელდება (იხილეთ 38-47 პარაგრაფები).

26. 2004 წლის 12 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარმა სამმართველომ (General Security Directorate of the Ministry of Internal Affairs) იუსტიციის სამინისტროს აცნობა, რომ იქსან ჰარანი იძებნებოდა, უკანონო ორგანიზაციის წევრობისათვის, რამდენიმე ეჭვმიტანილის ჩვენების საფუძველზე. იმავე წერილში, იუსტიციის სამინისტროს აცნობეს, რომ ნებისე ჰარანი და იქსან ჰარანი ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ (იხ. პარაგრაფი 50).

დ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები :

1. იქსან ჰარანის ძმების 2004 წლის 7 სექტემბრის განცხადებები

27. თავიანთ განცხადებებში, სეითან ჰარანი და აბდულაჰ ჰარანი ამტკიცებდნენ, რომ ისინი დაკავებულ იქნენ, დიარბაქირში, 1995 წლის პირველ თებერვალს, პოლიციის ოფიცრების მიერ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ სასტიკად ეპყრობოდნენ, პოლიციაში პატიმრობის პერიოდში და ეუბნებოდნენ, რომ მათ მიმართ განხორცილდებოდა იგივე მოპყრობა, რაც მათი ძმა იქსანის მიმართ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ ასევე ეუბნებოდნენ, რომ თუ კი ისინი არ აღიარებდნენ მათ დანაშაულს, გაანადგუებდნენ და იგივე ბედი ეწეოდათ, რაც მათ ძმა იქსანს.

2. თურქეთის ადამიანის უფლებათა ასოციაციის 2004 წლის მარტის მოხსენება

28. ამონარიდი მოხსენების შესაბამისი ნაწილიდან, არის შემდეგინაირი:

„ იქსან ჰარანი, კოდური სახელით აზადი, იყო ლიჯედან. ის ან სამხედრო იყო, ან მილიციელი. ის გაიყვანეს ქალაქგარეთ დაკითხეს და ამის შემდეგ მოკლეს. ცოტაოდენი ინფორმაცია მის საქმესთან დაკავშირებით: ის იყო დაპატიმრებული 1994 წლის 28 დეკემბერს, როდესაც მაღაზიისკენ მიდიოდა. მისმა მეუღლემ ნესიმე ჰარანმა განაცხადა, რომ მან არაერთხელ მიმართა სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოს, მაგრამ პასუხი არ მიუღია (აზადი, 1995 წლის 12 თებერვალი). მეჰმეთ ჰარანმა განაცხადა, რომ (...) მისი ძმისშვილი იქსან ჰარანი „გაუჩინარდა“ (ევრენსელი, 1995 წლის 26 დეკემბერი). პრესაში გამოქვეყნებული ახალი ამბების შემდეგ, ნესიმე ჰარანმა განაცხადა: „ პირველად ჩემი ქმარი სოფლიდან ჰაზროში 1993 წელს წაიყვანეს და ცამეტი დღე დაჰყო პატიმრობაში. მოგვიანებით, ჩვენ დიარბაქირში გადავსახლდით. ოთხი თვის შემდეგ ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამიანებმა მოიტაცეს იგი. ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მე მუდმივად მოვითხოვდი ინფორმაციას პროკურორისაგან, მაგრამ იგი არ მეთანხმებოდა, რომ ჩემი ქმარი დაპატიმრებული იყო. ერთ დღეს, სახლისკენ მიმავალი, გამაჩერა ერთმა პიროვნებამ, რომელსაც ჩემთან საუბარი სურდა. როდესაც მე არ დავთანხმდი, მან თქვა, რომ ის იყო პოლიციის ოფიცერი. მან მითხრა , რომ ჩემი მეუღლე მოკლული იყო; მან არ იცოდა სად , მაგრამ იცოდა ვინ ჩაიღინა ეს დანაშაული. მან ბევრი კითხვა დამისვა, სხვადასხვა ადამიანზე მაგრამ მე ვუთხარი, რომ არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. მას უნდოდა, რომ მათთვის მემუშავა, ანუ მათი აგენტი გავმხდარიყავი. მე ვიჩივლე, ადამიანის უფლებათა ასოციაციაში და მას შემდეგ აღარ შევუწყუხებია მათ.“

3. ბატონი აბდულხადირ აუგინის მიერ როჯანამეს გადაცემაში მიცემული ინტერვიუს ვიდეო-ჩანაწერი

29. 2004 წლის 4 მაისს, ბატონი აბდულხადირ აიგანმა, ქურთთა მუშათა პარტიის ყოფილი წევრი და სავარაუდოდ JITEM-ის (ჟანდარმერიის სადაზვერვო დანაყოფი) ყოფილმა წევრმა, ტელეარხ ROJ-ს მისცა ინტერვიუ, სადაც ის ირწმუნებოდა, რომ ჟანდარმერიის სადაზვერვო დანაყოფი სასამართლოს გადაწყვეტილებების გარეშე კლავდა გამოჩენილ ქურთ მოაზროვნეებს. გადაცემის დასასრულს მან ასევე წარადგინა იმ ადამიანების სახელების სია, რომლებიც სავარაუდოდ მოკლეს ჟანდარმერიის სადაზვერვო დანაყოფის წარმომადგენლებმა. იქსან ჰარანის სახელიც ახსენა ბატონმა აბდულხადირ აიგანმა, რომელმაც დეტალების წარმოდგენის გარეშე თქვა, რომ იქსან ჰარანი დაკითხეს და შემდეგ მოკლეს აღნიშნული დანაყოფის წარმომადგენლებმა. ამონარიდი შესაბამისი ვიდეო ჩანაწერიდან: „იქსან ჰარანი, კოდური სახელით აზადი, იყო ლიჯედან. ის ან სამხედრო იყო ან მილიციელი. ის გაიყვანეს ქალაქგარეთ, დაკითხეს და შემდეგ მოკლეს.“

ე) მთავრობის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები

1. საპატიმრო მონაცემები

30. დიარბაქირის უსაფრთხოების სამმართველოს საპატიმრო ჩანაწერებში, 1994 წლის 22 იანვრიდან 1995 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, არ არის მოხსენიებული იქსან ჰარანი.

2. იქსან ჰარანის ძმების, 1995 წლის 20 თებერვლის განცხადებები, პოლიციაში პატიმრობის პერიოდში

31. 1995 წლის 20 თებერვალს დააპატიმრეს აბდულ ჰარანი. ამონარიდი განცხადების შესაბამისი ნაწილიდან:

„ აბდულ ჰარან (გაყალბებულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მეჰმეტ სედატ გიოკმენი) : ჩვენ ვართ ცხრა დედმამიშვილი, მამაჩემი მუშაობს მშენებლობაზე დარაჯად, დედაჩემი არის დამლაგებელი, ჩემი დედმამიშვილები კი არიან; იქსან ჰარანი: დაბადებული 1968 წელს. ის არის ქურთთა მუშათა პარტიის აქტივისტი სოფლებში 1993 წლიდან. მისი კოდური სახელი არის აზატი და ის ჯერ კიდევ საქმიანობს ლიჯეს რეგიონში.“

32. 1995 წლის 20 თებერვალს ჰარანი დააპატიმრეს. ამონარიდი მისი განცხადების შესაბამისი ნაწილიდან: „ სეითან ჰარან (კოდური სახელი ბეჰზანი, გაყალბებულ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით რეფიკ მანაი): ჩვენ ვართ ცხრა დედმამიშვილი მამაჩემი მუშაობს მშენებლობაზე დარაჯად, დედაჩემი არის დამლაგებელი, ჩემი დედმამიშვილები კი არიან; იქსან ჰარანი: დაბადებული 1968 წელს. 1993 წელს შეუერთდა ქურთთა მუშათა პარტიის რეგიონულ ფრთას. მისი კოდური სახელი არის აზატი.“

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების გენერალური სამმართველოს 1996 წლის 22 მაისის წერილი იუსტიციის სამინისტროს

33. შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების გენერალურმა სამმართველომ აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ გამოძიება ჩატარდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფაქტებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში. მათ ვერ მოიპოვეს რაიმე ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა ბატონი იქსან ჰარანის პატიმრობაში ყოფნას 1994 წლის 24 სექტემბრიდან 1995 წლის პირველ თებერვლამდე. ასევე აცნობეს, რომ არც არქივებში მოიპოვებოდა იქსან ჰარანის შესახებ ინფორმაცია.

4. განმცხადებლისა და იქსან ჰარანის დაბადების ჩანაწერებში არსებული მონაცემები

34. განმცხადებლის დაბადების მოწმობის თანახმად, ის დასაოჯახებელია და მისი მისი ქალიშვილობის გვარია ჰარანი. მას ჰყავს რვა დედმამიშვილი და სამი შვილი, რომლებმაც

რეგისტრაცია გაიარეს სამოქალაქო რეესტრში 1996 წლის 2 აგვისტოს, სამოქალაქო კოდექსის 290-ე მუხლის შესაბამისად. ამ მონაცემების თანახმად, მისი შვილების მამის სახელი არის იჰსანი.

35. იჰსან ჰარანის დაბადების მოწმობის თანახმად, იგი დასაოჯახებელია და ჰყავს რვა დედამიშვილი.

5. დიარბაქირის პროკურატურის გადაწყვეტილება, 1998 წლის 21 იანვარი

36. 1998 წლის 21 იანვარს, დიარბაქირის პროკურატურამ, განაცხადა, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, გამოძიების გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. მან მიუთითა, რომ 1994 წლის შემდეგ არ ყოფილა არანაირი განაცხადი, არც დიარბაქირის პროკურატურაში, არც სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოში არსებულ პროკურატურაში და არც ლიჯეს პროკურატურაში. მან ასევე აღნიშნა, რომ ვერანაირი ჩანაწერი ვერ იქნა მოპოვებული, რომლიც დაადასტურებდა იჰსან ჰარანის პატიმრობაში ყოფნის ფაქტს, დიარბაქირის უსაფრთხოების სამმართველოს, ანტი-ტერორისტული დანაყოფის და ადგილობრივი ჟანდარმერიის მეთაურის ბრძანების შესაბამისად. მან ასევე მიუთითა, რომ იჰსან ჰარანი იძებნებოდა დიარბაქირის ანტი-ტერორისტული დანაყოფის მიერ.

6. დიარბაქირის პროკურატურის 2000 წლის 3 აპრილის წერილი სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოს პროკურატურისადმი

37. დიარბაქირის სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოს პროკურორმა აცნობა დიარბაქირის პროკურატურას, რომ იჰსან ჰარანი იძებნებოდა, როგორც უკანონო ორგანიზაციის, კერძოდ ქურთთა მუშათა პარტიის სავარაუდო წევრი, ეჭვის საფუძველს კი წარმოადგენდა ბატონი ნ.ზ.-ს განცხადება სასამართლოს წინაშე. ის ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა არანაირი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბატონი იჰსან ჰარანი გაუჩინარდა ან პატიმრობაში იმყოფებოდა.

7. დიარბაქირის მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება

38. 2000 წლის 16 ოქტომბერს, პროკურატურამ დიარბაქირის მუნიციპალიტეტს მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ მისთვის იმ კომპანიების სახელები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ, დიარბაქირის მიწისქვეშა ბაზრის მშენებლობის საქმიანობაში 1994 წელს. 2000 წლის 30 ოქტომბერს დიარბაქირის მუნიციპალიტეტმა, პროკურატურას გაუგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია.

39. 2000 წლის 27 ოქტომბერს, დიარბაქირის პროკურატურამ, აცნობა დიარბაქირის მთავარ პროკურატურას, რომ იჰსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდებოდა.

40. 2000 წლის 23 მარტს დიარბაქირის უსაფრთხოების სამმართველომ წარადგინა 1994-1995 წლების საპატიმრო ჩანაწერები.

41. 2000 წლის 29 თებერვალს დიარბაქირის მთავარმა პროკურატურამ, განაცხადა, რომ ნესიმე ჰარანმა შეიტანა განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში და ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლე გაუჩინარდა პოლიციაში პატიმრობის პერიოდში და რომ ამას ჰყავდა ორი თვითმხილველი და რომ მას პოლიცია ხელს უშლიდა პროკურატურაში საჩივრის შეტანაში. შესაბამისად, პროკურატურამ უბრძანა ლიჯეს მთავარ პროკურატურას, რომ ჩაეტარებინა შემდეგი სახის საგამომიებო მოქმედებები:

- ა) მოეძიებინათ ნესიმე ჰარანის განცხადება მისი მეუღლის გაუჩინარების საჩივართან დაკავშირებით;
- ბ) მოეთხოვათ განმცხადებლისთვის, რომ მიეწოდებინა თვითმხილველთა სახელები, რომ მათი დადგენა მომხდარიყო და ასევე ამ მოწმეთა მისამართები;
- გ) მოეძიებინათ ნესიმე ჰარანის განცხადება სადაც იგი ჩივის, რომ პოლიცია უშლიდა ხელს პროკურატურაში საჩივრის დაწერაში;
- დ) ეთხოვათ განმცხადებლისთვის, რომ მიეწოდებინა ამ ამბის სავარაუდო თვითმხილველების სახელები;
- ე) ეთხოვათ განმცხადებლისთვის, რომ დაეზუსტებინა, თუ სად ცდილობდა საჩივრის შეტანას და სად შეუშალეს ხელი მას აღნიშნულის გაკეთებაში.

42. 2001 წლის 21 დეკემბერს დიარბაქირის პროკურატურამ ლიჯეს სამოქალაქო რეესტრიდან გამოითხოვა, ნესიმე ჰარანის დაბადების მოწმობა.

43. 2001 წლის 15 მაისს დიარბაქირის პროკურატურამ სთხოვა ლიჯეს პროკურატურას, რომ დაედგინათ გამცხადებლის ადგილსამყოფელი, რათა მოეპოვებინათ ამ უკანასკნელის განცხადებები, მისი მეუღლის გაუჩინარებასთან დაკავშირებით. მან ასევე მოითხოვა, დაედგინათ, განმცხადებლის ახალი მისამართი იყო თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რეგისტრაციაში გატარებული, იმ შემთხვევისთვის, როდესაც მას (განმცხადებელს) სოფელში ვერ მიაგნებდნენ.

44. 2002 წლის 21 ნოემბერს დიარბაქირის პროკურატურამ თხოვნით მიმართა დიარბაქირის უშიშროების სამმართველოს, რომ მიეწოდებინათ იმ მუშათა სახელები, რომლებიც დაქირავებული ჰყავდა სამსაშენებლო კომპანიას 1994-1995 წლის პერიოდში.

45. 2003 წლის 29 იანვარს და 2003 წლის 25 სექტემბერს დიარბაქირის პროკურატურამ აცნობა დიარბაქირის მთავარ პროკურატურას, რომ იქსანა ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდებოდა.

46. 2003 წლის პირველ დეკემბერს, დიარბაქირის პროკურატურამ აცნობა დიარბაქირის მთავარ პროკურატურას, რომ ისინი ჯერ კიდევ ელოდებოდნენ დიარბაქირის სატრანსპორტო რეესტრის ოფისიდან, სახელმწიფო საავადმყოფოდგან, დიარბაქირის საჯარო რეესტრიდან, სამოქალაქო რეესტრიდან, ლიჯეს დაბადების რეესტრიდან და ლიჯეს საჯარო რეესტრიდან პასუხს იმის

თაობაზე, ჰქონდა თუ არა იქსან ჰარანს რაიმე ქმედება შესრულებული 1994 წლის პირველი დეკემბრიდან.

47. 2004 წლის 3 იანვარს, დიარბაქირის პროკურატურამ აცნობა დიარბაქირის მთავარ პროკურატურას, რომ ისინი ჯერ კიდევ ელოდებოდნენ ლიჯეს საჯარო რეესტრიდან პასუხს, იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა იქსან ჰარანს განხორციელებული, რაიმე ადმინისტრაციული ქმედება 1994 წლის პირველი თებერვლიდან, სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს წინაშე.

8. დიარბაქირის პროკურატურის 2001 წლის 21 ივნისის წერილი ლიჯეს ჟანდარმერიის მეთაურს

48. პროკურატურამ მოსთხოვა ლიჯეს ჟანდარმერიის მეთაურს, რამდენადაც შესაძლებელი იყო სწრაფად მიეყვანა ნესიმე ჰარანი პროკურატურაში, რათა ჩვენება მიეცა მას. მისი მისამართი იყო შემდეგი: სოფელი არიკლი.

9. მეჰმეთ ალი კიზილის და ბუნიაშინ კესკინის პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებები, 2002 წლის 13 დეკემბერით დათარიღებული

49. ორივე მოწმემ დაადასტურა, რომ ისინი იმყოფებოდნენ პატიმრობაში 1994 წლის 15 დეკემბრიდან 1995 წლის 2 იანვრის ჩათვლით უშიშროების სამმართველოს ანტიტერორისტულ დანაყოფში და რომ ისინი არც იცნობენ და არც არასდროს უნახავთ პიროვნება სახელად იქსან ჰარანი.

10. შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს წერილი, 2004 წლის 12 აპრილით დათარიღებული

50. უსაფრთხოების მთავარმა სამმართველომ აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ იქსან ჰარანის სახელი მოხსენიებული იყო ჩვიდმეტი ექვმიტანილის ჩვენებებში, რომლებიც დააკავეს PKK/KONTRA-GEL-ის წინააღმდეგ ოპერაციის დროს, და ამიტომ იგი ძებნაში იყო. ასევე პროკურატურამ მიუთითა, რომ მიუხედავად იმ ვარაუდებისა, რომ იქსან ჰარანი პატიმრობაში იმყოფებოდა, მისმა ძმებმა 1995 წლის 20 თებერვლის ჩვენებებში, მიუთითეს, რომ მათი ძმა შეუერთდა PKK-ს 1993 წლიდან და იმ პერიოდებშიც აგრძელებდა, მის საქმიანობას კოდური სახელით აზადი. მათ ბოლოს განაცხადეს, რომ დიარბაქირის სამოქალაქო აქტების ოფისის

დაბადების მოწმობების ჩანაწერების თანახმად, იქსან ჰარანი და ნესიმე ჰარანი არ იმყოფებოდნენ ქორწინებაში.

11. იქსან ჰარანის ძმების მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის, 1995 წლის 20 მარტისა და 1996 წლის 16 ივნისის, სასამართლო განხილვის ოქმები

51. დიარბაკირის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს წინაშე სეიტან ჰარანმა განაცხადა, რომ პოლიციაში პატიმრობის დროს, ჩვენება მისცა ზეწოლის ქვეშ, ხოლო აბდულლაჰ ჰარანი ირწმუნებოდა, რომ ჩვენება, რომელიც სასამართლო პროცესზე წაუკითხეს არ შეესაბამებოდა იმ ჩვენებას, რომელიც მან პოლიციის საპატიმროში მისცა.

52. იქსან ჰარანის ძმები გასამართლდნენ დიარბაკირის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს მიერ დანარჩენ რვა თანაბრადებულთან ერთად, მათ შორის იყო ფაჰრი ჰაზარი, სოფელ არიკილიდან. 1996 წლის 16 ივნისს სიეათან ჰარანს და აბდულლაჰ ჰარანს, მიესაჯათ პატიმრობა სამი წლისა და ცხრა თვის ვადით.

12. RE-HA-ს სამშენებლო კომპანიის მიერ დაქირავებულ მუშათა სია, 1994 წლიდან 1995 წლის აპრილამდე

53. იქსან ჰარანის სახელი არ ფიგურირებს RE-HA-ს სამშენებლო კომპანიის მიერ მოწოდებულ სიაში.

II. შესაბამისი შიდა სამართალი და პრაქტიკა

54. შესაბამისი შიდა სამართლისა და პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო მიმართავს გადაწყვეტილებებს საქმეებზე: ულკუ ეკინსი თურქეთის წინააღმდეგ (#. 27602/95, §§ 111-118, 16 ივლისი 2002 წელი) და ტეპე თურქეთის წინააღმდეგ (#. 27244/95, §§ 115-122, 9 მაისი 2003 წელი).

სამართალი

I. მთავრობის პირველადი პრეტენზიები (დაუშვებლობასთან დაკავშირებით)

ა) შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ იყო ამოწურული

55. სასამართლოს მიერ საქმის დასაშვებად ცნობის შემდეგ მთავრობის მიერ წარმოდგენილი დამატებით შენიშვნებში, კიდევ უფრო განავითარეს მათი მტკიცება, იმის თაობაზე, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ამოწურული შიდა ღონისძიებები. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ მიუთითა რამდენიმე ღონისძიებაზე, კერძოდ, სამოქალაქო ღონისძიებებზე. მათ აღნიშნეს, რომ განმცხადებელს არასოდეს არ მიუმართავს თხოვნით ხელისუფლების ამ ორგანოებისთვის, მისი ქმრის გაუჩინარებასთან დაკავშირებით და ასევე, მას არ გაუპროტესტებია პროკურორის 1998 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება.

56. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საკითხი უკვე იქნა განხილული დასაშვებობის ეტაპზე და საჭიროდ აღარ მიიჩნია მისი ხელახალი განხილვა. შესაბამისად, სასამართლომ უარყო მთავრობის ეს პირველადი პრეტენზია.

ბ) მსხვერპლის სტატუსის არ ქონა

57. 2004 წლის 26 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც განმცხადებელს გაეგზავნა 2004 წლის 11 აგვისტოს წერილის (იხ.62-ე პარაგრაფში) საპასუხოდ, მთავრობამ რამდენიმე მითითება გააკეთა: „ განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი და იქსან ჰარანის სახელები ერთად უნდა ყოფილიყო განთავსებული ოჯახური მდგომარეობის მონაცემების გვერდზე. მთავრობას სურს, რომ სასამართლოს ყურადღება მიაქციოს იმაზე, რომ მათი სახელები სხვადასხვა გვერდზეა, რადგან ისინი დაქორწინებულნი არ ყოფილან.“

58. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი განმცხადებელს თავისთავად ვერ წაართმევს მსხვერპლის სტატუსს (იხ. სეიჰან დემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ #34491/97, §§ 81-85, 13 იანვარი 2005 წელი). მხარეების ახსნა-განმარტების გარეშე, სასამართლოს არ შეუძლია იმსჯელოს განმცხადებლისა და იქსან ჰარანის ურთიერთობის ხასიათზე. თუმცა, რადგანაც მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი საწინააღმდეგო არგუმენტი, სასამართლოს არ შეუძლია გამორიცხოს, რომ განმცხადებელი იყო სულ მცირე იქსან ჰარანის პარტნიორი და ჰყავდა სამი შვილი მისგან (იხ. პარაგრაფი 34).

59. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს, როგორც იქსან ჰარანის პარტნიორს, კანონიერად შეუძლია მოითხოვოს მსხვერპლის სტატუსი. შესაბამისად, მთავრობის ეს პრეტენზიაც უარყოფილი იქნა.

II. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

60. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ მისი მეუღლე საიდუმლოდ იყო დაპატიმრებული სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ და ამყოფებდნენ სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში და რომ შიდა სამართალმა ვერ უზრუნველყო

შესაბამისი დაცვა იქსან ჰარანის სიცოცხლის უფლებისა. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-2 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„1. ყველა ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია, მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან;

ბ) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაკავებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

ა) მხარეთა არგუმენტები

1. განმცხადებელი

61. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მისი მეუღლის გაუჩინარებაში, რადგანაც თანასოფელელმა უთხრა მას, რომ იგი (მისი მეუღლე) დააპატიმრეს პოლიციელებმა. იგი შემდგომში ამტკიცებს, რომ როდესაც მან და მისმა ოჯახმა ციხეების მონახულება დაიწყეს, სხვა თვითმხილველმაც აცნობა, რომ მისი მეუღლე პატიმრობაში იმყოფებოდა. განმცხადებლის თქმით, პიროვნების პატიმრობაში ყოფნის უარყოფა, გაუჩინარების ნაწილს წარმოადგენდა და მოითხოვდა ყოველმხრივ, ეფექტურ და ობიექტურ გამოძიებას. განმცხადებლის მტკიცებით კი, მისი ქმრის გაუჩინარებასთან დაკავშირებით გამოძიება არ ჩატარებულა. ამ მხრივ, განმცხადებელი მიუთითებს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ის პირები, რომლებიც გაუჩინარდნენ დაპატიმრებულები ივნენ სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.

62. 2004 წლის 11 აგვისტოს წერილში, განმცხადებელი იმეორებდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო, მნიშვნელოვანი გამოძიების წარმოება და ის დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგინა სახელმწიფომ ძირითადად სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოთა მიმოწერას წარმოადგენს. მან ასევე მიუთითა, რომ დაბადების მოწმობებში სადაც ის და მისი ქმარი არ იყვნენ მითითებული ერთიან დოკუმენტში არასწორი იყო, რადგან იგი და მისი გაუჩინარებული ქმარი დაქორწინებულნი იყვნენ.

3. მთავრობა

63. მთავრობა დავობდა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო მისი განცხადებებით მიეპყრო შესაბამისი ორგანოების ყურადღება და რომ ამ ორგანოებისთვის გაუჩინარების ფაქტის შესახებ, მხოლოდ სავარაუდო გაუჩინარებიდან ორი წლის შემდეგ გახდა ცნობილი, 1996 წლის 5 მარტის განაცხადის შესახებ შეტყობინების შედეგად. ისინი ამტკიცებენ, რომ მათთვის მანამდე ცნობილი არ იყო სავარაუდო მოწმეების არსებობის შესახებ და ამ მოწმეთა ვინაობა არასოდეს უცნობებიათ ამ ორგანოებისთვის. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ პროკურორის 1998 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების არგასაჩივრება, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მას არ სურდა მისთვის ხელმისაწვდომი შიდა სამუალებების ამოწურვა. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა ვერანაირი მტკიცებულება, რომლებიც დაადასტურებდნენ მის ბრალდებებს და გამომდინარე იქიდან, რომ მათთვის არ იყო ცნობილი განმცხადებლის მისამართი, შეუძლებელი იყო იმის დადგენა მისი მეუღლე კვლავ დაკარგული იყო თუ არა.

ბ) სასამართლოს შეფასება

1. იჰსან ჰარანის გაუჩინარება

64. სასამართლომ იმთავითვე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ნორმას კონვენციაში და მე-3 მუხლთან ერთად იცავს ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ, დემოკრატიული საზოგადოების მიერ მოპოვებულ ყველაზე მთავარ ღირებულებებს (იხ. *Çakıcı v. Turkey* [GC], #. 23657/94, § 86, ECHR 1999-IV, და *Finucane v. the United Kingdom*, # 29178/95, § 67-71, ECHR 2003-VIII). მე-2 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლო სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტს განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს და მხედველობაში იღებს არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების ქმედებებს, არამედ სხვა ამასთან დაკავშირებულ გარემოებებსაც (იხ. *Orhan v. Turkey*, #. 25656/94, § 326, 18 ივნისი 2002 წელი).

65. სასამართლო გამოიკვლევს იმ საკითხებს, რომლებიც წარმოიშვება, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, კერძოდ, მთავრობის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გამოძიებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებსი და ასევე, მხარეთა წერილობით შენიშვნებს. გარდა ამისა, სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ კონვენციით დადგენილი მტკიცებულებათა სტანდარტი არის „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ხოლო აღნიშნული კი შეიძლება გამომდინარეობდეს, როდესაც ერთად არსებობს საკმარისად მტკიცე, აშკარა და შესაბამისი დასკვნები ან ისეთი ფაქტების არსებობის პრეზუმცია, რომლებიც არ არის გაბათილებული (იხ.

mutatis mutandis, Ireland v. the United Kingdom, judgment of 18 იანვარი 1978, სერია A #. 25, pp. 64-65, §§ 160-161, დ *Ülkü Ekinci*, ზემოთ აღნიშნული, §§ 141-142).

66. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მტკიცებები მისი მეუღლის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ეყრდნობა სავარაუდო თვითმხილველის ფაქრი ჰაზარის, ნათქვამს. თუმცა, განმცხადებელმა ვერ შეძლო სასამართლოსთვის წარმოედგინა ბატონი ფაქრი ჰაზარის ჩვენება. მისი განცხადების თანახმად, მისი მეუღლე ნახეს პატიმრობის პერიოდში. განმცხადებელმა, ვერც ამ მოწმეების ჩვენებების წარმოდგენა შეძლო, რომელთა ვინაობაც კი არ გაუმჟღავნებიათ სასამართლოსთვის. უფრო მეტიც, სასამართლოსთვის არც იქსან ჰარანის ძმების განცხადებებია დამაჯერებელი (იხ. პარაგრაფი 27-ე), რადგანაც აღნიშნული ინფორმაცია არ ყოფილა წარდგენილი არც ერთი სახელისუფლებო ორგანოს წინაშე 2004 წლის 27 სექტემბრამდე. შესაბამისად, განმცხადებლის მტკიცება იმის თაობაზე, რომ იქსან ჰარანი დაპატიმრებულ იქნა, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და არა დამაჯერებელ მტკიცებულებებს.

67. რაც სეხება ბატონი აიგანის მიერ ტელევიზიისთვის (ROJTV) მიცემულ 2004 წლის 24 მაისის ინტერვიუს, სადაც მან ახსენა, რომ JITEM იყო გარეული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ხალხის დახოცვაში, რა დროსაც იქსან ჰარანი ასევე მოიხსენია, როგორც ერთ-ერთი მხვერპლი, სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული განცხადება არ შეიცავს, რაიმე დეტალს ან თარიღს, იმის გარდა, რაც ზემოთ იქნა მოხსენიებული (იხ. 29 პარაგრაფი). შესაბამისად სასამართლოს არ შეუძლია მიანიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა მას, რადგან იგი არის გადაუმოწმებელი და ყველაზე არაპირდაპირი მტკიცებულება (circumstantial evidence) (იხ. *Issa and Others v. Turkey*, #. 31821/96, § 79, 16 November 2004).

68. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ იქსან ჰარანის გაუჩინარების ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებები, რჩება მოსაზრებებისა და ვარაუდების საგნად, და ამგვარად არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რათა სასამართლომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადგინოს, რომ იქსან ჰარანი საიდუმლოდ იქნა დაპატიმრებული და მოკლული სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ან მათი წაქეზებით.

69. შესაბამისად, ამ კუთხით მე -2 მუხლი არ დარღვეულა.

2. გამოძიების სავარაუდო შეუსაბამობა

70. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება, კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებულ ძირითად ვალდებულებასთან ერთად „ მისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს ევროპული კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, გულისხმობს, რომ ძალის გამოყენების შედეგად, ადამიანთა სიკვდილის

შემთხვევაში უნდა იქნას ჩატარებული ეფექტური, ოფიციალური გამოძიება, (იხ. *mutatis mutandis*, *McCann და Others v. the United Kingdom*, judgment of 27 September 1995, სერია A# . 324, p. 49, § 161). ეს ვალდებულება არ შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, როდესაც დადგინდება, რომ მკვლელობა განახორციელეს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. არც ის არის გადამწყვეტი მნიშვნელობის, შეიტანეს თუ არა დაღუპულის ოჯახის წევრებმა თუ სხვებმა მკვლელობასთან დაკავშირებით ოფიციალური საჩივარი, შესაბამის საგამოძიებო ორგანოებში. უბრალოდ ის ფაქტიც, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ცნობილი გახდა განმცხადებლის მეუღლის მკვლელობის შესახებ, *ipso facto* (ფაქტის ძალით) წარმოშობს ვალდებულებას, მე-2 მუხლიდან გამომდინარე, რომ განახორციელონ ეფექტური გამოძიება გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (see *Tanrikulu v. Turkey* [GC], no. 23763/94, §§ 101 and 103, ECHR 1999-IV).

71. სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულები, რომლის თანახმადაც სიცოცხლის უფლება დაცული უნდა იყოს კანონით. ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, სულ მცირე, დაადგინონ ჩარჩო კანონები, რომლებიც ზოგადად კრძალავს სისოცხლის ხელყოფას და ქმნის საჭირო სტრუქტურებს, რომ ქმედითი გახადოს ეს აკრძალვები, მათ შორის პოლიციას, რომელსაც პასუხისმგებლობა ექნება გამოიძიოს და აღკვეთოს დარღვევა (იხ. *Osman v. the United Kingdom*, judgment of 28 October 1998, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VIII, p. 3159, § 115). თუმცა ეს პოზიტიური ვალდებულება, სახელმწიფოს არ ავალდებულებს, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს დამნაშავეთა ვინაობის დადგენა და განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა მათ მიმართ.

72. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ გამოძიების ხასიათი და დეტალური შესწავლის ხარისხი, რომელიც აკმაყოფილებს ეფექტური გამოძიების მინიმალურ ზღვარს, დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. მისი შეფასება უნდა მოხდეს შესაბამისი ფაქტებზე დაყრდნობით და საგამოძიებო სამუშაოების პრაქტიკული რეალობის გათვალისწინებით (იხ. *Velikova v. Bulgaria*, no. 41488/98, § 80, ECHR 2000-VI, and *Ülkü Ekinci*, cited above, § 144).

73. ასევე ამ კონტექსტში იგულისხმება დაუყოვნებლივ და გონივრული დროში გამოძიების ჩატარების მოთხოვნა (*Yaşa v. Turkey*, judgment of 2 September 1998, *Reports* 1998-VI, §§ 102-04; *Çakıcı*, cited above, §§ 80, 87 and 106, *Tanrikulu*, cited above, § 109 and *Mahmut Kaya v. Turkey*, no. 22535/93, §§ 106-07, ECHR 2000-III). სასამართლო ასევე უშვებს გარკვეული წინააღმდეგობებისა და სირთულეების არსებობას გამოძიების მიმდინარეობისას, თუმცა დაუყოვნებლივი პასუხი ხელისუფლების მხრიდან, სასიკვდილო ძალის გამოყენების ან გაუჩინარების გამოძიებისას, მიიჩნევა, როგორც არსებითად მნიშვნელოვანი ხალხის ნდობის და კანონის უზენაესობის შესანარჩუნებლად და ასევე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი შეხედულებები, თითქოს სახელმწიფო ურიგდება ან შემწყნარებელია უკანონო ქმედებების მიმართ (see, in general, *McKerr v. the United Kingdom*, no. 28883/95, §§ 108-15, ECHR 2001-III, and *Avşar v. Turkey*, no. 25657/94, §§ 390-395, ECHR 2001-VII (extracts)).

74. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომ იქსან ჰარანი მოკლულია. თუმცა, ზემოთ ნახსენები პროცედურული ვალდებულება არ შემოიფარგლება, იმ შემთხვევით, როდესაც კონკრეტული განზრახ მკვლელობა გახორციელებულია სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, არამედ სასამართლოს აზრით ეს ვალდებულება ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირი გაუჩინარდება სიცოცხლისთვის საშიშ გარემოებებში. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ ადრეც აღნიშნა, რომ გაუჩინარება და არაღიარებული დაპატიმრება იმ პირებისა, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან PKK-სთან კავშირში, მიჩნეულ უნდა იქნას სიცოცხლისთვის საშიშად, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში 1993 წელს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე (იხ. *Timurtaş v. Turkey*, no. 23531/94, § 85, ECHR 2000-VI). 1994 წელს მომხდარი შემთხვევების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავდა გაუჩინარების შემთხვევებს და რომლებიც მოითხოვდა გამოძიებას, სასამართლო ასკვნის, რომ ზოგადი კონტექსტი იმ წელს ისეთივე იყო (იხ, for instance, *Çiçek v. Turkey*, no. 25704/94, 27 February 2001; *İrfan Bilgin v. Turkey*, no. 25659/94, ECHR 2001-VIII; *Orhan*, cited above; *İpek v. Turkey*, no. 25760/94, ECHR 2004- ...). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ ზუსტი თარიღი ვერ იქნა დადგენილი, ჩანს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მართლაც ეჭვობდნენ, რომ იქსან ჰარანი ჩართული იყო PKK-ს საქმიანობაში (იხ. paragraphs 36-37 and 50 above). ამ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ იქსან ჰარანის გაუჩინარება მართლაც სიცოცხლისთვის საშიშია. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის პირის გაუჩინარებიდან, მით უფრო მეტი ალბათობა არსებობს იმისა, რომ იგი გარდაცვლილია (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* [GC], no. 26307/95, § 226, ECHR 2004-...).

75. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიება განმცხადებლის მიერ წამოყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით, დაიწყო მას შემდეგ, რაც მოპასუხე მთავრობას შეატყობინეს განაცხადის შესახებ, ე.ი. აღნიშნული შემთხვევებიდან ორი წლის შემდეგ. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ეს გამოძიება დასრულდა პროკურორის 1998 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც მტკიცებულებათა არარსებობის გამო გამოძიება ვეღარ გაგრძელდებოდა, თუმცა საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შესაბამისი სახელმწიფო მოხელეები, კვლავ აგრძელებენ გამოძიებას თუმცა უშედეგოდ.

76. სასამართლო შეძრულია, განმცხადებლის და იქსან ჰარანის ოჯახის დანარჩენი წევრების უარით, ჩართულნი ყოფილიყვნენ ამ გამოძიებაში. 1994 წელს იქსან ჰარანის გაუჩინარებიდან მოყოლებული განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ განმცხადებელმა, ან იქსან ჰარანის ოჯახის რომელიმე წევრმა მოიკითხა იქსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებული გამოძიების მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელმა არ გააპროტესტა პროკურორის 1998 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება. არც გამოძიებათან დაკავშირებული ინფორმაცია გამოუთხოვია სახელისუფლებო ორგანოებიდან. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებლის მიერ მისი მისამართის

არმითითების გამო, სახელმწიფო ორგანოებისთვის რთული გახდა მისი მოძებნა და ჩვენების ჩამორთმევა აღნიშნული მოვლენების შესახებ. სასამართლოს აზრით, სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ასეთი არარსებობა საწინააღმდეგოდ მოქმედებს გამოძიების ეფექტურობაზე.

77. თუმცა განმცხადებლის ქმედებები არ ათავისუფლებს სახელმწიფო ორგანოებს, იმ ვალდებულებებისგან, რომ ჩაატაროს შესაბამისი გამოძიება გაუჩინარებასთან დაკავშირებით შეზღუდული პრაქტიკული რეალობების გათვალისწინებით. სასამართლო გაკვირვებულია გამოძიებისას არსებული უმოქმედობით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს, რომ დიარბაქირის პროკურატურის მიერ ჩატარებული თავდაპირველი გამოძიება, როგორც ჩანს მოიცავდა, მხოლოდ დიარბაქირის უსაფრთხოების სამმართველოს საპატიმრო მონაცემების შემოწმებას (იხ.36 პარაგრაფი) და 2000 წლის 29 თებერვალისა და 2001 წლის 15 მაისადე პროკურატურას არ უცდია, მოეპოვებინა ჩვენება განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრებისგან(იხ. 41 და 43 პარაგრაფები). სასამართლოს აზრით, ეს იქნებოდა ლოგიკური დასაწყისი სავარაუდო გაუჩინარების გამოძიებისა. კერძოდ, სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ არ დაკითხეს იქსან ჰარანის ძმები, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ (იხ. პარაგრაფი 52). გარდა ამისა, სასამართლო მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთერთი თვითმხილველის ვინაობის გამჟღავნება არასოდეს მომხდარა, სახელმწიფო ორგანოებისთვის ცნობილი იყო ფაქრი ჰაზარის შესახებ, რომელიც, განმცხადებლის თქმით, იყო ერთადერთი თვითმხილველი 1994 წლის 24 დეკემბერს, პოლიციის მიერ იქსან ჰარანის დაპატიმრებისა. მთავრობის მიერ, სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, ფაქრან ჰაზარი არასოდეს დაკითხულა.

78. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, ვერ შეძლეს ადეკვატური და ეფექტური გამოძიების ჩატარება იქსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახეზე გვაქვს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის პროცედურული დარღვევა.

3. შიდა კანონმდებლობით სიცოცხლის უფლების დაცვის სავარაუდო არ არსებობა

79. მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების განხილვის საფუძველზე, იქსან ჰარანის გაუჩინარების ირგვლივ არსებული გარემოებების გათვალისწინებით და რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაეფექტური გამოძიების ჩატარების გამოდაარღვიეს კონვენციის მე-2 მუხლი, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის დამატებით სხვა დასკვნების გამოტანა ამ საკითხთან დაკავშირებით.

III. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

80. განმცხადებლის თქმით, მისი ტანჯვა, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ არ შეეძლო გაეგო თუ რა შეემთხვა მის მეუღლეს, წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლით, რომლის თანახმადაც: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.“

81. მთავრობა, გარდა იმისა, რომ უარყო განმცხადებლის ბრალდებების ფაქტობრივი საფუძველები, კონკრეტულად არ შეხებია მე-3 მუხლის თანახმად წარმოდგენილ საჩივარს.

82. სასამართლო, კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ოჯახის წევრების მსხვერპლის სტატუსი დამოკიდებულია, სპეციფიკური ფაქტორების არსებობაზე, რომლებიც მის ტანჯვას ისეთ ხასიათს აძლევენ, რომელიც განსხვავდება ემოციური მწუხარებისგან და რომელიც გარდაუვალია, არ მიადგეს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევის მსხვერპლის ახლობლებს. (იხ. *Çakıcı*, cited above, § 98).

შესაბამისი ელემენტები მოიცავს სისხლისმიერ ნათესაობას, ის თუ რა სახით გახდა სადავო ფაქტების თვითმხილველი, ოჯახის წევრების ჩართულობას და მცდელობას, მოიპოვონ ინფორმაცია, გაუჩინარებული ადამიანის შესახებ და იმაზე თუ, როგორ პასუხობდნენ სხელმწიფო ორგანოები მათ მოთხოვნებს. სასამართლო ასევე ხაზს უსვამს, რომ ასეთი დარღვევება გამომდინარეობს არა ოჯახის წევრის გაუჩინარების ფაქტიდან, არამედ სახელმწიფო ორგანოების რეაქციებიდან და დამოკიდებულებიდან, როდესაც სიტუაცია მათთვის ცნობილი გახდება (see *Orhan*,, cited above, § 358).

83. სასამართლო მიუთითებს, რომ წინამდებარე საქმეში, განმცხადებელი არ ყოფილა ამ სავარაუდო მოვლენების თვითმხილველი. ასევე, ვერ მიიჩნევა, რომ მან ბევრი გამოკვლევა ჩაატარა ან თხოვნით მიმართა სახელმწიფო ორგანოებს, რომ დაედგინა თუ რა შეემთხვა იქსან ჰარანს (see *Akdeniz and Others v. Turkey*, no. 23954/94, § 102, 31 May 2001; *Çakıcı*, cited above, § 99, *a contrario*, *Orhan*, cited above, § 359). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო იმის ჩვენება, რომ იგი ჩართული იყო იქსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებული მიმდინარე გამოძიების მსვლელობებში.

84. ზემოქმულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ გაურკვევლობა და შიში სტანჯავდა განმცხადებელს ხანგრძლივი და უწყვეტი პერიოდის განმავლობაში, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, მაინც შეუძლებელია დაადგინოს, რომ მისმა ტანჯვამ მიაღწია იმ ზომას და ხასიათს, რომელიც განსხვავდება ემოციური მწუხარებიგან, რომელიც გარდაუვალია, რომ არ მიადგეს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის მსხვერპლის ახლობლებს. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა.

IV. მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

85. კონვენციის მე-5 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი დავობს, რომ მისი მეუღლე დაპატიმრებული იქნა ამ მუხლის ერთერთი დებულების სრული დარღვევით, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. მე-5 მუხლი ადგენს : 1. ყველას აქვს თავსუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

- a) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;
- b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შესრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აკვეთის აუცილებლობა;

d) არსრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

e) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;

f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

86. მთავრობა, გარდა იმისა, რომ უარყო განმცხადებლის ბრალდებების ფაქტობრივი საფუძველები, არ შეხებია საჩივარს მე-5 მუხლის დაღვევის შესახებ.

87. სასამართლო მიუთითებს მის ზემოხსენებულ დასკვნაზე, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა არ დაგინდა, რომ სახელმწიფოს რომელიმე წარმომადგენელმა ან პიროვნებამ, რომელიც სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლების ნაცვლად მოქმედებდა, ჩართული იყო იქსან ჰარანის სავარაუდო გატაცებაში (see paragraph 69 above). შესაბამისად არ არსებობს ფაქტობრივი საფუძველები, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო დაასკვნოდა, რომ არსებობს აღნიშნული დებულებების დარღვევა.

88. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-5 მუხლის დარღვევა.

V. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

89. განმცხადებელი პრეტენზიას აცხადებდა დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც შესაძლებელი იქნებოდა საჩივრის წარდგენა შედეგის მიღწევის პერსპექტივით. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ყველას ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს.“

90. არც ერთ მხარეს არ წარმოუდგენია კონკრეტული არგუმენტები კონვენციის მე-13 მუხლთან დაკავშირებით. თუმცა, მათ წარმოადგინეს არგუმენტები შიდა საშუალებების ეფექტურობასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებელი კერძოდ დავობდა, რომ ის ცდილობდა, თხოვნით მიემართა სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოში განთავსებული პროკურატურისთვის, მაგრამ პოლიცია ხელს უშლიდა. მან ასევე განაცხადა, რომ მისი ოჯახი მუდმივად ცდილობდა, შეეტანა პეტიცია ერთი თვის განმავლობაში და როდესაც ეს ვერ შეძლეს, დაიწყეს ციხეების მინახულება, რათა მოეპოვებინათ რაიმე ინფორმაცია. გარდა ამისა, ის ამტკიცებდა, რომ მიუხედავად მისი მუდმივი მცდელობისა, გაეგო რამე თავისი მეუღლის დაპატიმრების შესახებ, სახელმწიფო ორგანოები არ აწარმოებდნენ გამოძიებას. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ პროკურატურაში საჩივრის შეტანა იყო სამართლებრივი დაცვის შესაბამისი ღონისძიების ამოწურვა, მისი საჩივრის ბუნებიდან გამომდინარე და არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ კიდევ არსებობდა მისთვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალება.

91. განმცხადებლის არგუმენტების გათვალისწინებით, წინამდებარე საქმეში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაირღვა მეორე მუხლი პროცედურული კუთხით (იხ. 75-78 პარაგრაფები) და შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებითი საკითხი აღარ წარმოიშვება მე-13 მუხლთან დაკავშირებით.

VI. მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებთან მიმართებით

92. განმცხადებლის თანახმად, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან დამკვიდრებული იყო, ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციული მოპყრობის პრაქტიკა. განმცხადებელი ეყრდნობა მე-14 მუხლს, რომლის თანახმადაც: „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“

93. თავდაპირველი განაცხადის ფორმაში, განცხადებლის წარმომადგენლებმა მიუთითეს მათ არგუმენტებზე, რომლებიც წარმოდგენილია საქმეში *Akkum and Others v. Turkey* (no. 21894/93, ECHR 2005-... (ამონარიდები). შემდგომ არგუმენტებში, მათ არ წარმოუდგენიათ რაიმე სფეციფიკური არგუმენტი მე-14 მუხლთან დაკავშირებით.

94. მთავრობა, კონკრეტულად არ შეხებია მე-14 მუხლის დარღვევის საკითხს.

95. სასამართლომ გამოიკვლია განმცხადებლის ბრალდებები წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, მაგრამ მიიჩნევს მათ დაუსაბუთებლად. კერძოდ, განმცხადებელს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ საბუთებინა თავისი ვარაუდები, რომ იქსან ჰარანის გაუჩინარება გამომდინარეობდა მისი ეთნიკური წარმოშობიდან. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა.

VII. კონვენციის მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევა

96. განმცხადებლის თანახმად, მისი და მისი მეუღლის უფლებების შეზღუდვა, არ მომხდრა აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული მიზნებისათვის. მუხლი მე-18: „ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.“

97. წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის ბრალდებები არ მტკიცდება. შესაბამისად, სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

VIII. კონვენციის 34-ე მუხლის სავარაუდო დარღვევა

98. 1999 წლის 8 ოქტომბერს წარმოდგენილ მის საბოლოო პრეტენზიებში საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებით, განმცხადებლის წარმომადგენელმა გართიანებული სამეფოდან, აცნობა სასამართლოს, რომ მათ არ შეეძლოთ განმცხადებელთან დაკავშირება და სასამართლოს სთხოვეს, მხედველობაში მიეღო შემდეგი სამი შემთხვევა (see paragraphs 21-22 above), რომელსაც თავად მიიჩნევდნენ მიუღებელ ჩარევად განმცხადებლის უფლებაში, რომ მისი განაცხადი განხილულიყო სასამართლოს მიერ.

99. სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს, ამ საჩივრის განხილვას 34-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.“

100. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ იყო ადრე წარმოდგენილი ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წარმოედგინათ მხარეებს მათი მოსაზრებები. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ არის საჭირო, საკითხის ცალკე განხილვა.

IX. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

101. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს: „თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკამყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა) მატერიალური ზიანი

102. განცხადებელი მიუთითებს სამართლებრივ დაკმაყოფილებაზე, რომელიც სასამართლომ მიაკუთვნა განმცხადებელს საქმეში აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (judgment of 18 December 1996, *Reports* 1996-VI), *Kurt v. Turkey* (judgment of 25 May 1998, *Reports* 1998-III) and *Kaya v. Turkey* (judgment of 19 February 1998, *Reports* 1998-I), და მოითხოვა იმ თანხის ოდენობა რაცას მისი მეუღლე მოიპოვებდა. თუცა მას არ დაუკონკრეტებია ეს ოდენობა.

103. მთავრობას მოსაზრება არ გამოუთქვას.

104. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა არ დააკონკრეტა თანხის ოდენობა, და არც წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ან დოკუმენტი მისი ოთხოვნების გასამყარებლად. შესაბამისად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა.

ბ) არამატერიალური ზიანი

105. განმცხადებელმა მოითხოვა 40 000 ფუნტი სტერლინგი (GBP), იმ მორალური ზიანისთვის, რომელიც მის მეუღლეს მიადგა და 10 000 ფუნტი სტერლინგი, მისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის, რომელიც მე-3 მუხლის დარღვევის შედეგად მიადგათ. მან მიუთითა იმ სამართლებრივ დაკმაყოფილებებზე, რომლებიც მიეკუთვნათ განმცხადებლებს მსგავს საქმეებში, კერძოდ საქმეში ქურტი და კაია (აღნიშნული ზემოთ).

106. მთავრობას არ გაუკეთებია განმცხადებლის მოთხოვნებზე კომენტარი.

107. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს ეფექტური გამოძიების ჩატარება, რითაც ვერ შეასრულა მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულება. დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (იხ. *Tahsin Acar*, cited above, § 264) და ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 10 000 ევროს.

გ. გაწეული ხარჯები

108. განმცხადებელი მოითხოვდა 6, 704 ფუნტ სტერლინგს, იმ გადასახადებისთვის და ხარჯებისთვის, რომელიც გასწია საქმის მომზადებისა და სასამართლოში საქმის წარმოებისას. ეს მოიცავს სამართლებრივ სამუშაოებს, ადმინისტრაციული ხარჯებს, რომლებიც გაიღეს ბრიტანელმა წარმომადგენლებმა (GBP 2,250 and GBP 89,50 შესაბამისად), სამართლებრივი სამუშაოები და ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც გაიღეს თურქმა წარმომადგენლებმა (GBP 1,800 და GBP 560 შესაბამისად) და გადასახადები და ადმინისტრაციული ხარჯები, როგორცაა სატელეფონო საუბრების, საფოსტო გზავნილების, ფოტო-ასლების გაკეთების საფასური და KHRP-ის სტაციონარი (GBP 1,000 and 280 respectively), მათ შორის თარგმანების და შემოკლებული ვერსიების გაკეთება ინგლისურიდან თურქულად და პირიქით (GBP 725). მათი მოთხოვნების გასამყარებლად, განმცხადებელმა წარმოადგინა ხარჯების დეტალური ცხრილი, რომელიც მოამზადეს მისმა წარმომადგენლებმა და KHRP.

109. მთავრობას არ გამოუთქვამს მოსაზრება.

110. სასამართლო დააკისრებს მთავრობას იმ ხარჯების გადახდას, რომლებიც ნამდვილად გაიღეს და ამავდროულად იყო საჭირო და გონივრული ოდენობა (see *Sawicka v. Poland*, no. 37645/97, § 54, 1 October 2002). სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ წინამდებარე

საქმეში გაღებული ყველა თანხა და ხარჯი იყო საჭირო იყო და ნამდვილად დასახარჯი. კერძოდ, სასამართლო ასკვნის, რომ არ იყო დადასტურებული, რომ ყველა ის იურიდიული ხარჯები ექვსი სხვადასხვა ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების საათების მთლიანი რაოდენობაიყო აუცილებელი და ფაქტობრივად გაღებული. მეორე მხრივ, სასამართლო მიიჩნევს, რომ თარგმანებთან, რეზიუმეებთან და ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნები, შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც საჭირო და გონივრული. თუმცა, სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო ერთი ქვითრის წარმოდგენაც კი ამ ხარჯებთან დაკავშირებით. დაადგინა რა თანასწორობის (სამართლიანობის) საფუძველზე და გაითვალისწინა რა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჩივრების დეტალები, სასამართლო ანიჭებს მას 4.000 ევროს, მოთხოვნილი თანხებისა და ხარჯების შესაბამისად. ეს ოდენობა გადავა ფუნტებში და გადაიხდება დავის მოგვარების დღეს და ჩაირიცხება იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია განმცხადებლის მიერ.

გ) საურავი

111. სასამართლო თვლის, რომ დადგენილ უნდა იყოს საურავი იმ განაკვეთით, რომელიც თანაბარი იქნება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის განაკვეთისა, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ერთხმად

- 1) უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიებს;
- 2) ადგენს, რომ არ ყოფილა მე-2 მუხლის დარღვევა, განმცხადებლის ბრალდებებთან დაკავშირებით, რომ იქსან ჰარანი გატაცებული და მოკლული იქნა სახელმწიფოს აგენტების მიერ და პირების მიერ, რომლებიც სახელმწიფოს ნაცვლად მოქმედებდნენ;
- 3) ადგენს, რომ დაირღვა მე-2 მუხლი, რადგან სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს შესაბამისი და ეფექტური გამოძიების ჩატარება იქსან ჰარანის გაუჩინარებასთან დაკავშირებით.
- 4) ადგენს, რომ არ არის საჭირო, რომ განიხილოს განმცხადებლის პრეტენზიები, რომლებიც უკავშირდება შიდა საშუალებების არარსებობას მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვისათვის;
- 5) არ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა;
- 6) არ დადგინდა მე-5 მუხლის დარღვევა;
- 7) დაადგინა, რომ ცალკე საკითხი არ წარმოიშვება მე-13 მუხლთან დაკავშირებით;
- 8) არ დადგინდა მე-14 მუხლის დარღვევა მე-2, მე-3 და მე-5 მუხლთან მიმართებით;
- 9) არ დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა;
- 10) დაადგინა, რომ საჭირო არ არის ცალკე განიხილოს 34-ე მუხლის დარღვევის საკითხი;
- 11) ადგენს

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს, სასამართლოს განაჩენის საბოლოოდ გახდომის თარიღიდან არა უგვიანეს სამ თვეში, შემდეგი ოდენობის თანხა:

- i. 10 000 ევრო (ათი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანისთვის, რაც კონვერტირებულ უნდა იქნეს თურქულ ლირებში იმ კურსით, რომელიც გადახდის დღეს იქნება დაწესებული;
- ii. 4 000 ევრო (ოთხათასი ევრო) გადასახადებისა და დანახარჯებისათვის, რაც კონვერტირებულ უნდა იქნას ფუნტ სტერლინგში იმ კურსით, რომელიც გადახდის დღეს იქნება დაწესებული და უნდა გადაირიცხოს დიდ ბრიტანეთის რეგისტრირებულ იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც თავად განმცხადებელმა მიუთითა;
- iii. ნებისმიერი გადასახადი, რომელიც დაეკისრება ზემოთ ნახსენებ თანხასთან მიმართებით;

ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი;

12. ერთხმად უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გამოცემულია 2005 წლის 6 ოქტომბერს სასამართლოს რეგლამენტის 77 წესის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაამისად

ვინსენტ ბერგერი

ბოსტან მ. ზუპანციკი

რეგისტრატორი

თავჯდომარე